თბილისი ენერჯი

მიცკევიჩის ქ.№18ა, თბილისი, 0194, საქართველო
ს/კ 205129617; +995 (32) 2404004; info@te.ge; www.te.ge

№ 02-13-180343-25
24 / 07 / 2025

შპს „ჯი თი სი თრეიდინგ“-ის დირექტორს
კახა მარღიაშვილს

ბატონო კახა,

თქვენი მიმდინარე წლის 14 ივლისის №02-13-180343-25 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქალაქი თბილისი, ქერჩის ქუჩა №86-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: №01.11.05.029.380) დეველოპერული პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით ტექნიკური პირობის მოთხოვნას გაცნობებთ, რომ შედგა სატელეფონო კომუნიკაცია კომპანიის წარმომადგენელთან. დადგინდა, რომ გესაჭიროებათ დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების შეთანხმება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შპს „თბილისი ენერჯიმ“ პოზიცია დაგიფიქსირათ 2025 წლის 15 აპრილის №02-13-98748-25 წერილის პასუხად. კიდევ ერთხელ გაცნობებთ, რომ საკადასტრო ერთეულზე ფიქსირდება „თბილისი ენერჯი“-ს კუთვნილი საჰაერო **D=80 მმ-იანი** და **D=40 მმ-იანი** საშუალო წნევის გაზსადენები. ხოლო, კომპანიაში არსებული მონაცემთა ბაზის მიხედვით ნაკვეთის სიახლოვეს ფიქსირდება მიწისქვეშა **D=300 მმ-იანი** საშუალო წნევის გაზსადენი (იხ. დანართი-სქემატური ნახაზი). კომპანია დაგეგმილ სამშენებლო სამუშაოებს შეითანხმებს მას შემდგომ, რაც თქვენი მხრიდან შესრულდება შემდეგი მოთხოვნა:

- აუცილებელია ნაკვეთზე არსებული საჰაერო გაზსადენების **(D=80 მმ-იანი, D=40 მმ-იანი)** წითელი ხაზებიდან გადატანა/მარშრუტის ცვლილება.

შპს „თბილისი ენერჯის“ მიერ დადგინდა საპროექტო ღირებულება, რომელიც შეადგენს **460 (ოთხას სამოცი)** ლარს. სამონტაჟო სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების შემდეგ. აქვე აღვნიშნავთ, რომ მოქმედი რეგულაციების მიხედვით, შპს „თბილისი ენერჯი“ ქსელის გადალაგების სამუშაოებს ასრულებს მიწის ქვეშ და შესაბამისად, მილსადენი უნდა განთავსდეს მიწაში. მილსადენის გადაადგილების შესაძლებლობა და ტრაექტორია განისაზღვრება პროექტირების ეტაპზე. იმ შემთხვევაში, თუ გარემო ფაქტორების გამო ვერ განხორციელდა საინჟინრო პროექტის მომზადება გადახდილი თანხა დაგიბრუნდებათ ხელშეკრულებაში მითითებულ ანგარიშზე.

სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულებისას უპირობოდ უნდა იყოს დაცული საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის #1-1/525 ბრძანებით დამტკიცებული „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები“ და СНиП 2.04.08-87*.

თქვენს მიერ საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების თანხების სრულად ანაზღაურების, ხელშეკრულების გაფორმების და საჭიროებისამებრ, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიიდან თქვენი მხრიდან სამუშაოების წარმოებისათვის აუცილებელი ნებართვების მოპოვების შემთხვევაში, კომპანია მზად არის განახორციელოს აღნიშნული სამუშაოები.

ხელშეკრულების გასაფორმებლად ეწვიეთ კომპანიის ვებ-გვერდს www.te.ge, შევსებული ფორმა გადმოაგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე public@te.ge. შეთავაზება ძალაშია 3 (სამი) თვე.


აქვე გაცნობებთ, რომ სამშენებლო სამუშაოების წარმოების დროს ნაკვეთის სიახლოვეს არსებულ მიწისქვეშა **D=300 მმ-იანი** საშუალო წნევის გაზსადენთან მიმართებაში გათვალისწინებული უნდა იყოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის #1-1/525 ბრძანებით დამტკიცებული „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები“ და СНиП 2.04.08-87* (შეზღუდვა გაზსადენის ღერძიდან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის საძირკვლამდე 4 (ოთხი) მეტრი).

წარმოგიდგენთ აღნიშნულ ტერიტორიაზე გაზსადენის განლაგების სქემატურ ნახაზს.

დანართი: სქემატური ნახაზი-1 ფურცელი.

პატივისცემით,

გიორგი გოგინაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში


1:700
484400.000000
484500.000000
4627600.000000
N
W
E
S
D=100
D=50
D=110pe
D=400
D=500
D=500
D=300
D=315pe
D=80
D=40
01.11.05.029.380
პირობითი აღნიშვნები
4 მ შეზღუდვის ზონა
შპს "თბილისი ენერჯის" საკუთრებაში არსებული მიწისქვეშა გაზსადენი
შპს "თბილისი ენერჯის" საკუთრებაში არსებული მიწისზედა გაზსადენი
მიწის ნაკვეთი
თბილისი ენერჯი
TBILISI ENERGY

№ 0626-120337S D 12.03.2026

შპს "ჯი თი სი თრეიდინგის" დირექტორს,
ბატონ კახა მარღიაშვილს
ელ. ფოსტა: natali.margiashvili@dekadevelopment.ge; info@dekadevelopment.ge
ტელეფონი: 591373733

ბატონო კახა,

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ (შემდგომში „კომპანია“) განიხილა თქვენი განცხადება (დარეგისტრირებული № IN26-1199279, დათარიღებული: 02/03/2026 წ.) ქერჩის ქუჩა № 86-ში (უძრავი ქონების ს/კ 01.11.05.029.380) დეველოპერული პროექტის განხორციელების მიზნით, მშენებლობის გენ. გეგმის შეთანხმების შესახებ.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი გენ. გეგმა შეთანხმებულია „კომპანიის“ შესაბამის სამსახურთან. კომპანია არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ სამშენებლო სამუშაოები წარმოდგენილი გენ. გეგმის შესაბამისად.

ასევე გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე შესაძლოა გაედინება მესამე პირთა და კომპანიის აბონენტების ქსელები, რომელთა ზუსტ ტრაექტორიაზე კომპანია ინფორმაციას არ ფლობს. სამშენებლო/სარემონტო სამუშაოების წარმოების პროცესში ქსელების აღმოჩენის შემთხვევაში, ვალდებული ხართ დაიცვათ სამშენებლო ნორმები.

სამშენებლო სამუშაოების წარმოების პროცესში წყალსადენ-წყალარინების ქსელების აღმოჩენის შემთხვევაში, ვალდებული ხართ დაიცვათ სამშენებლო ნორმები.

ქსელის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, სამუშაოების დაწყების წინ გთხოვთ, დაუკავშირდეთ კომპანიის წარმომადგენელს: თორნიკე ჟღენტს, მობ: 591 101 513.


დანართი: საპროექტო დოკუმენტაცია - 1 (ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

ივანე გაბიტაშვილი

წყალსადენის ქსელების დირექტორის მოადგილე/

მ. ლოლაძე
293 11 11 (51 13)


FLOOR PLAN
1:100
A-101
A-2

საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ. 3
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

სნ 202052580

№: 0428/257/25
28/04/2025

შპს "ჯი თი სი თრეიდინგ"-ის დირექტორს
ბატონ კახა მარღიაშვილს

თქვენი მიმდინარე წლის 16 აპრილის #0416/210/25 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ აღნიშნულ მისამართზე მითითებულ ტერიტორიაზე (ს.კ 01.11.05.029.380) არ გადის სს "თელასი"-ს კუთვნილი კაბელები.

პატივისცემით,

ტექნიკური დირექტორი მამუკა ქობალია

შემსრულებელი:
ვ. სისაური
ტელ:2-77-99-99-1-7881